

მე-2 კლასი

მეორე კლასის ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტში წარმოდგენილია 4 სავარჯიშო და 30 საკითხი. ტესტი შედგება არჩევითი პასუხიანი, დახურული დავალებებისგან. გამსვლელი ქულაა 35.

სავარჯიშო 1: ანბანი, ხმოვნები და თანხმოვნები

ეს სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ანბანის, ასოთა თანმიმდევრობის, ხმოვნებისა და თანხმოვნების, მათი რაოდენობის შესახებ.

სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 10 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 3.

მაგალითი:

რომელია ქართული ანბანის მეორე ასო-ბგერა?

- ა) ე ბ) ვ გ) ზ

სავარჯიშო 2: ცხოველები და ბუნება

სავარჯიშო მოიცავს დავალებებს ბუნებისა და მისი ბინადრების შესახებ. სად ცხოვრობენ, რა ფერის არის, რა ჰქვია მათ ნაშიერსა და სხვა.

სავარჯიშო 15 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 3.

მაგალითი:

სად ცხოვრობს დათვი? ა) ბუდეში ბ) ფულუროში გ) ბუნაგში

სავარჯიშო 3: ნახატის აღწერა

დავალებაში მოცემულია მარტივი საბავშვო ნახატი. მოსწავლემ უნდა შეძლოს მასზე წარმოდგენილი დეტალების აღქმა, გაგება და მარტივ კითხვებზე პასუხი.

სავარჯიშო 40 ქულიანია და შედგება 10 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 4.

სავარჯიშო 4: სიტყვის მნიშვნელობა

ამ ნაწილში მოწმდება სიტყვების სწორად აღქმის უნარი, ასევე – მათი შინაარსობრივი კავშირი. მოსწავლემ უნდა შეძლოს მნიშვნელობით შესაბამისი წყვილის ამოცნობა და პირიქით.

სავარჯიშო 20 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 4.

მაგალითი:

რომელი წყვილი არ შეეფერება ერთმანეთს?

ა) მზე – შუქი ბ) ხე – ფოთოლი გ) თევზი – ჩიტი

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია**, რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 5 ქულიანს.

ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანაზღაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ტესტები.

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგავსი სტრუქტურა აქვს, I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.